ISET
International School of Economics
at Tbilisi State University

საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში
Bachelor Program in Economics

(ინგლისურენოვანი პროგრამა)

პროგრამის აღწერილობა

2026

პროგრამის სახელწოდება: **საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში (Bachelor Program in Economics)**

კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ეკონომიკის ბაკალავრი (Bachelor of Economics)

პროგრამის მოცულობა: 240 ECTS

პროგრამის ხანგრძლივობა: 4 წელი, 8 სემესტრი (ერთი სემესტრი 30 კრედიტი).
სწავლების ენა: ინგლისური

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი
- ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ეროვნულ გამოცდებზე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი კომპეტენციების დადასტურება:
    - ინგლისური ენა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: 65%+1
    - მათემატიკა. ზღვარი: 50%+1
    - ქართული ენა და ლიტერატურა: ერთიანი ეროვნული გამოცდებით დადგენილი მოცულობა.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები ჩაირიცხებიან "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №224/ნ, 2011 წლის 29 დეკემბერი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" წესის შესაბამისად. აღნიშნულ ჩასარიცხ კანდიდატებს, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენა არ არის, მოეთხოვებათ წარმოადგინოს ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი ფირიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი 1
ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ: იხ. დანართი 2
სილაბუსები: იხ. დანართი 3

საბაკალავრო პროგრამა ინგლისურენოვანია, შედგენილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე ბაკალავრები დაეუფლებიან ზოგადი და პროფესიული კურსების საფუძვლებს, ასევე ინგლისურ ენას. სწავლების მეორე ეტაპზე ხდება შეძენილი ცოდნის გამყარება, ხოლო შემდეგ ეტაპზე ცოდნის გაღრმავება. სწავლების ბოლო ეტაპზე ბაკალავრები შეძლებენ შეძენილი ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენებას, მომზადებას სამომავლო კარიერული წინსვლისთვის.
ბაკალავრისთვის შეთავაზებული არჩევითი კურსები მაღალმოთხოვნადია როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ შრომის ბაზარზე, ამრიგად საბაკალავრო პროგრამა მოამზადებს მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს, რომლებიც ეფექტურად დასაქმდებიან როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, ასევე შესაძლებლობა ექნებათ გააგრძელონ სწავლა შემდგომ საფეხურზე.

მოიცავს 4 სასწავლო წელიწადს, 8 სემესტრს. საქართველოს კანონიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ გამომდინარე, პროგრამის შესასრულებლად სტუდენტს ესაჭიროება 240 ECTS (1 კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო (საკონტაქტო), ასევე დამოუკიდებელ მუშაობას.

240 ECTS, რომელიც არის აუცილებელი ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად, ნაწილდება შემდეგი პრინციპით:
160 ECTS - სავალდებულო კურსები;
35 ECTS - არჩევითი კურსები;
20 ECTS - თავისუფალი კრედიტები;
25 ECTS - საკურსო ნაშრომი (15 ECTS - კვლევითი/გამოყენებითი პროექტი; 10 ECTS - პროფესიული სტაჟირება).

თანდართულ დოკუმენტებად იხილეთ საბაკალავრო პროექტი და ნაშრომი/ანგარიშის და სტაჟირების კონცეფციები.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
პროგრამის მიზანია სტუდენტების მომზადება წარმატებული აკადემიური და პრაქტიკული კარიერული წინსვლისთვის ეკონომიკის სფეროში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ამ მიზნის მისაღწევად, პროგრამა აერთიანებს ინგლისურ ენაზე შემოთავაზებული, მსოფლიოს წამყვანი ინსტიტუტების/პროგრამების მიერ დაწესებული სტანდარტების შესაბამის თეორიულ განათლებას და ძლიერ პრაქტიკულ ტრენინგს, რომელიც განხორციელდება კურიკულუმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი პრაქტიკული და ტექნიკური საქმიანობების განხორციელების გზით.

პროგრამის ძირითადი მიზანია ეკონომიკის სფეროში ეფექტური პრაქტიკოსების მომზადება, რომლებიც ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის ფართო სპექტრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ. პროგრამა სტუდენტებს დაეხმარება ანალიტიკური უნარების გამომუშავებაში, ასევე ისეთი პიროვნების ჩამოყალიბებაში, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებელი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას. სწავლის უნარების განვითარებასა და შეძენილი ცოდნის ცვალებად გარემოზე მორგებაში.

საბაკალავრო პროგრამის ამოცანაა:
- მისცეს ბაკალავრს მყარი ცოდნა ეკონომიკაში;
- გამოუმუშავოს ბაკალავრს ძლიერი ანალიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და კვლევის უნარი
- მისცეს ბაკალავრს შესაბამისი ცოდნა, რომელსაც ის ეფექტურად გამოიყენებს პრაქტიკაში
- მოამზადებს ბაკალავრს პროფესიული გამოცდილების შემდგომი გაუმჯობესებისათვის სწავლისა (მათ შორის თვით-განათლება) და მუშაობის გზით.

პროგრამა იძლევა ეკონომიკის სფეროში მოღვაწეობისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ, ბაკალავრებს გააჩნიათ მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ეკონომიკასა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში, მათ შორის:

- **ეკონომიკური პრინციპების ფუნდამენტური ცოდნა.** აღნიშნული პრინციპები შეეხება არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღებასთან, საქონლის წარმოებასა და გაცვლასთან, ფასწარმოებისა და რესურსების ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბაკალავრმა იცის ეკონომიკის სხვადასხვა საკითხების გრაფიკულად განხილვა და მათემატიკული მეთოდებით მოდელირება. მაგ, ფასების ფორმირებასთან დაკავშირებული, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. ბაკალავრს გაცნობიერებული აქვს ეკონომიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა უმუშევრობა, ეკონომიკურ ზრდა, ინფლაცია, საგადასახადო ბალანსი და ა.შ.
- **სპეციალიზებული ეკონომიკური საკითხების ცოდნა.** ბაკალავრს გააჩნია ეკონომიკური პოლიტიკის შექმნასთან დაკავშირებული ცოდნა, კარგად აქვთ გააზრებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის ხელშეწყობის პოლიტიკა, გადანაწილების პოლიტიკა, ასევე, აქვთ ცოდნა საბაზისო ფინანსური კონცეფციების და ინსტიტუტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.
- **ანალიტიკური და რაოდენობრივი მეთოდების ცოდნა და გააზრება.** ბაკალავრს გააჩნია ცოდნა სხვადასხვა ანალიტიკური და რაოდენობრივი მეთოდების შესახებ, ფლობს შესაბამის მათემატიკურ და სტატისტიკურ მეთოდებსა და ეკონომეტრიკულ ტექნიკას, გააჩნია ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ გააკეთოს არჩევანი ალტერნატიულ მეთოდებს შორის, ნებისმიერ მოცემულ სიტუაციაში.
- **კვლევითი მეთოდების ცოდნა.** ბაკალავრი ფლობს სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებულ კვლევის მეთოდებს და იცის სპეციალიზაციის სფეროში სხვა სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევევის გაანალიზების მიდგომები.

უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ, ბაკალავრებს შეძენილი ექნება შემდეგი ტიპის მრავალმხრივი უნარები:

- **ეკონომიკის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში წარმატებით გამოყენების უნარი.** ეკონომიკური კონცეფციების გამოყენება სხვადასხვა ეკონომიკური სიტუაციების გასაგებად და ამ სიტუაციების მოდელების შექმნა და ანალიზი, ასევე შეუძლია იმის დადგენა, თუ როგორ და როდის გამოიყენება სხვადასხვა ეკონომიკური პოლიტიკა და რა შედეგებს უნდა მოელოდნენ მათგან.
- **რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით მონაცმების გაანალიზების უნარი.** კონკრეტულ დავალებასთან/პრობლემასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება, შეგროვება, ორგანიზება, მენჯმენტი, შეფასებების მიღება და შედეგების პრეზენტაცია. ასევე, მონაცემების გაანალიზებისთვის საუკეთესო ემპირიული მეთოდების იდენტიფიცირება, შესაბამისი სტატისტიკური პროგრამული ინსტრუმენტების გამოყენება და ამ ანალიზის შედეგების სწორად ინტერპრეტირება.
- **დასკვნის უნარი.** დამოუკიდებლად შეუძლია ახალი და განყენებული მონაცენებისა და/ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. არსებული პრობლემის შესაბამისი ინფორმაციის იდენტიფიცირება, სტრატეგიული აზროვნება, სტრატეგიების, შედეგების,

ინფორმაციისა და მოტივაციის (სტიმულების) განსაზღვრისა და შედარების ეფექტურად გაანალიზება, ძველი და ახლანდელი ინფორმაციის შეჯამება და არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოკვეთილი მოდელების გათვალისიწნებით პროგნოზირება.

- **კომუნიკაციის უნარი.** ბაკალავრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა და პროექტის დეტალური და მომცველობითი წერილობითი ანგარიშის მომზადება. კვლევის მოკლე მიმოხილვის და საჯარო პოლიტიკის ნარკვევის მომზადება. კვლევის მიგნებების მოკლე შეჯამების გაკეთება და ამ შეჯამების სხვადასხვა ფორმატით წარდგენა. პრეზენტაციის მომზადება და მისი ეფექტური წარდგენა, ინგლისური ენაზე, ინგლისურად წაკითხული ლიტერატურის სრულყოფილად გაგება, გააზრება და დამუშავება. ბაკალავრს ასევე შეუძლია პროფესიულ დისკუსიებსა და დებატებში აქტიური მონაწილეობა, არაპროფესიონალებთან კომუნიკაცია, სოციალურ ინტერაქციებში ჩართვა და საკუთარი იდეების საზოგადოებისთვის გაზიარება, სხვა სფეროების (არა-ეკონომიკური) პროფესიონალებთან კომუნიკაცია, გუნდურად და დამოუკიდებლად მუშაობა.
- **სწავლის უნარი.** ბაკალავრს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით, საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა. ეკონომიკაში წარმატებული პრაქტიკისათვის მიმდინარე მუდმივი ცვლილებებზე რეაგირება და ახალი უნარებისა და ცოდნის მიღებისთვის მზადყოფნა, მუდმივი თვითგანათლების და მოქნილი აზროვნების ინტერესის სტიმულირება. სამუშაო უნარების და პრაქტიკის განვითარება.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **პასუხისმგებლობა.** მონაწილეობს ეკონომიკის სფეროსა და საზოგადოდ ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად, აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა და აცნობიერებს ეთიკის ძირითად პრინციპებს, პატივს სცემს მრავალფეროვნებას, მონაწილეობს ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში, ახდენს ენთუზიაზმისა და ინიციატივის დემონსტრირებას.
- **აკადემური ეთიკის საკითხები**. გამომუშავებული აქვსი იმ ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს ორგანიზაციასა და საზოგადოებაში. აქვს ნაკისრი ვალდებულებების პუნქტუალურად განხორციელების და ბოლომდე მიყვანის პასუხისმგებლობა
- **ავტონომიურობა.** დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის, საკუთარ თავზე მუშაობის, ცოდნის მუდმივად განახლების, დიდი მოცულობის ინფორმაციასთან მუშაობისა და დროითი შეზღუდვების პირობებში მუშაობისათვის საჭირო უნარები; ეკონომიკის დარგში უახლესი ინფორმაციის მიღების და გაცვლის გამოცდილება წამყვანი ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით. უწყვეტი განათლების მღების მზაობა და ავტონომირად გაგრძლების უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლა ეფუძნება თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების უწყვეტ ციკლს. სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას პროფესორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. გათვალისწინებულია ჰიბრიდული სასწავლო მიდგომების დანერგვა და რამდენიმე სასწავლო კურსის ელექტრონული/შერეული ფორმატით სწავლება.

საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელების დროს სასურველი შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები:

- ვერბალური;

- წერითი;
- პრაქტიკული;
- ახსნა-განმარტებითი;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- პროექტები;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური მუშაობა;
- თანამშრომლობითი სწავლება;
- გონებრივი იერიში (Brainstorming);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- სიმულაცია/მოდელირება;
- დემონსტრირება;
- ინდივიდუალური/ჯგუფური პროექტი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის ცოდნის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებებს;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სტუდენტის საბოლოო შეფასება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამის საფუძველზე.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50% მიღების შემთხვევაში.

დასკვნით გამოცდას და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 კალენდარული დღისა

შეფასების სისტემა უშვებს:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დეტალურად ჩაშლილია სილაბუსებში.

პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე ბაკალავრები დაეუფლებიან ზოგადი და პროფესიული კურსების საფუძვლებს, ასევე ინგლისურ ენას. სწავლების მეორე ეტაპზე ხდება შეძენილი ცოდნის გამყარება, ხოლო შემდეგ ეტაპზე ცოდნის გაღრმავება. სწავლების ბოლო ეტაპზე ბაკალავრები შეძლებენ შეძენილი ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენებას, მომზადებას სამომავლო კარიერული წინსვლისთვის.

დასაქმების სფეროები
განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა დასაქმებაში ხელშეწყობას, დასაქმებას წარმატებული კარიერისთვის შრომის ბაზარზე და/ან აკადემიურ საქმიანობაში.
სწავლების ბოლო წელს ხდება დასაქმების ორიენტაციის სესიის შეთავაზება (არა სავალდებულო აქტივობა), რომლის დროსაც ხდება სტუდენტის ოპტიმალური კარიერული არჩევანის და დასაქმების პოტენციალის შეთავაზება.

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან როგორც საჯარო (ეროვნულ ბანკში, ფინანსთა სამინისტროში, ეკონოიმკის სამინისტროში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, კონკურენციის სააგენტოში, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, სახელმწიფო ელექტროსისტემაში, ა.შ.) ასევე კერძო სექტორში (კომერციული ბანკები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ა.შ.)

სწავლის გაგრძელების საშუალება - საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს ეკონომიკის ან მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე. გარდა ამისა, აკადემიურ საქმიანობაზე ორიენტირებულ სტუდენტებს მნიშვნელოვანად შეუწყობს ესს ხელს სწავლის შემდგომ გაგრძელებაში (საქართველოში და საზღვარგარეთ). ესს-ის სამაგისტრო პროგრამას უკვე აქვს საუკეთესო გამოცდილება საზღვარგარეთ არსებული მაღალი დონის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებში სტუდენტების ჩარიცხვის ხელშეწყობის კუთხით.

დანართი 1

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ეკონომიკისა და ბიზნესის**
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში**
სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი**
კრედიტების რაოდენობა: 240 კრედიტი
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი ფირიაშვილი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2017 წ

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები / მოდულები – 160 ECTS										
N	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**დამოუკიდებელი მუშაობა**	**დასკვნითი გამოცდის**	**დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი/ლექტორები /ავტორი**
			ლექცია	**სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი**				**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
1.	ინგლისური ენა 1	**5**	-	94	29	2	წინაპირობის გარეშე	I		ენდრიუ ჰარგრივსი
2.	ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები	**5**	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე	I		ნინა სუხანსკაია
3.	კალკულუსი 1	**5**	30	34	59	2	წინაპირობის გარეშე	I		ზაზა თევდორაძე
4.	ალბათობის თეორია	**5**	30	34	59	2	წინაპირობის გარეშე	I		ზურაბ აბრამიშვილი
5.	მიკროეკონომიკის პრინციპები	**5**	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე	I		ია ნაცვლიშვილი

6.	შესავალი კომპიუტერულ ტექნოლოგიებში	**5**	30	34	59	2	წინაპირობის გარეშე	I		გიორგი დათუკიშვილი
7.	კალკულუსი 2	**5**	30	34	59	2	კალკულუსი 1		II	თორნიკე ქადეიშვილი
8.	მაკროეკონომიკის პრინციპები	**5**	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე		II	თეიმურაზ ბერიძე
9.	სტატისტიკა ეკონომიკისთვის	**5**	15	34	74	2	კალკულუსი 1, ალბათობის თეორია		II	მარინა მუჩიაშვილი
10.	ინგლისური ენა 2	**5**		94	29	2	ინგლისური ენა 1		II	ენდრიუ ჰარგრივსი
11.	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1	**5**	30	34	59	2	კალკულუსი 2	III		თორნიკე ქადეიშვილი
12.	მიკროეკონომიკა 1	**5**	15	34	74	2	მიკროეკონომიკის პრინციპები	III		თეიმურაზ გოგსაძე
13.	მაკროეკონომიკა 1	**5**	15	34	74	2	მაკროეკონომიკის პრინციპები	III		იაროსლავა ბაბიჩი
14.	ეკონომეტრიკა 1	**5**	30	34	59	2	სტატისტიკა ეკონომიკისთვის	III		კარინე ტოროსიანი
15.	ეკონომიკის ისტორია	**5**	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე	III		კარინე ტოროსიანი
16.	ეთიკა ეკონომიკაში	5	30	94	29	2	მიკროეკონომიკის პრინციპები მაკროეკონომიკის პრინციპები		IV	გიორგი ფირიაშვილი
17.	მიკროეკონომიკა 2	**5**	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 1		IV	თეიმურაზ გოგსაძე
18.	მაკროეკონომიკა 2	**5**	15	34	74	2	მაკროეკონომიკა 1		IV	იაროსლავა ბაბიჩი
19.	ეკონომეტრიკა 2	**5**	30	34	59	2	ეკონომეტრიკა 1		IV	მუჰამად ასალი
20.	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2	**5**	30	34	59	2	მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1		IV	თორნიკე ქადეიშვილი
21.	პოლიტიკური ეკონომიკა	**5**	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 2, ეკონომეტრიკა 2, მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2	V		სოფიკო სხირტლაძე
22.	თამაშთა თეორია	**5**	15	34	74	2	მიკროეკონიკა 2	V		გიორგი ფირიაშვილი
23.	შრომის ეკონომიკა	**5**	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 2	V		ზურაბ აბრამიშვილი
24.	ეკონომეტრიკა 3	**5**	30	34	59	2	ეკონომეტრიკა 2	V		კარინე ტოროსიანი
25.	ფული და საბანკო საქმე	**5**	15	34	74	2	მაკროეკონომიკა 2	V		ზვიად ზედგინიძე
26.	აკადემიური წერა	**5**		94	29	2	ინგლისური ენა 2		VI	ენდრიუ ჰარგრივსი
27.	ინდუსტრიული ორგანიზაცია და კონკურენტული სტარტეგია	**5**	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 2		VI	ფლორიან ბიერმანი
28.	განვითარების ეკონომიკა	**5**	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 2		VI	ეკა ლეკაშვილი
29.	ეკონომიკური აზრის ისტორია	**5**	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 2, მაკროეკონომიკა 2		VI	ფლორიან ბიერმანი
30.	ეკონომიკური ზრდა	**5**	15	34	74	2	მაკროეკონომიკა 2, მიკროეკონომიკა 1,		VI	დავით კეშელავა

							კალკულუსი 2			
31.	შედარებითი ეკონომიკური სისტემები	**5**	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 2, მაკროეკონომიკა 2	VII		თეიმურაზ ბერიძე
32.	საერთაშორისო ვაჭრობა	**5**	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 2 მაკროეკონომიკა 2	VII		ლაშა ჭოჭუა
	სულ:	**160**								
არჩევითი კურსები / მოდულები - 35 ECTS (სტუდენტი ირჩევს 7 სასწავლო კურსს ქვემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსებიდან)										
1.	რაოდენობრივი ფინანსების მეთოდები	5	30	34	59	2	კალკულუსი 2	V		ფლორიან ბიერმანი
2.	მენეჯმენტის საფუძვლები	5	30	34	59	2	წინაპირობის გარეშე	V		გიორგი ღაღანიძე
3.	კორპორაციათა ფინანსები 1	5	15	34	74	2	ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები, მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1	V		დავით ასლანიშვილი
4.	საჯარო სექტორის ეკონომიკა	5	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 1, ეკონომეტრიკა 2, მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2	V		სოფიკო სხირტლაძე
5.	გავლენის შეფასება	5	30	34	59	2	მიკროეკონომიკა 1, ეკონომეტრიკა 2	V		ნორბერტო პინიატი
6.	ცირკულარული ეკონომიკა	5	15	34	74	2	მიკროეკონიკა 1	V		ლევან ფავლენიშვილი
7.	მანქანური სწავლება 1	5	15	34	74	2	სტატისტიკა ეკონომიკისთვის	V		მიხეილ ნადარეიშვილი
8.	კანონი და ეკონომიკა	5	15	34	74	2	მიკროეკონომიკის პრინციპები კალკულუსი 1	V		გიორგი პაპავა
9.	ეკონომიკური დებატები	5	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 2, მაკროეკონომიკა 2		VI	ლაშა ლაბაძე
10.	კლიმატის ცვლილების ეკონომიკა 1	5	15	34	74	2	მიკროეკონომიკის პრინციპები მაკროეკონომიკის პრინციპები		VI	მაიკლ ლუკენი
11.	ქცევითი ეკონომიკა	5	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 1, კალკულუსი 1		VI	თეიმურაზ გოგსაძე
12.	შესავალი ექსპერიმენტულ ეკონომიკაში	5	15	34	74	2	სტატისტიკა ეკონომიკისთვის, მიკროეკონიმიკა 2		VI	დანიელა ვულეტიცი
13.	ჯანდაცვის ეკონომიკა	5	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 1, სტატისტიკა ეკონომიკისთვის		VI	ევა ჰრამადკოვა
14.	კორპორაციათა ფინანსები 2	5	15	34	74	2	კორპორაციათა ფინანსები 1		VI	დავით ასლანიშვილი

15.	ევროინტეგრაციის ეკონომიკა	5	15	34	74	2	მაკროეკონომიკა 1, მიკროეკონომიკა 1		VI	თინათინ ახვლედიანი
16.	გენდერული ეკონომიკა	5	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 1; ეკონომეტრიკა 2		VI	დავით კეშელავა
17.	საერთაშორისო ფინანსები	5	15	34	74	2	მაკროეკონომიკა 2		VI	იაროსლავა ბაბიჩი
18.	ეთიკა და ფინანსები	5	15	34	74	2	კორპორაციათა ფინანსები 1		VI	თეიმურაზ გოგსაძე
19.	მოდელების შექმნა და ოპერაციათა კვლევა	5	30	34	59	2	მათემატიკა ეკონომისტებისთვის 1, ეკონომეტრიკა 2,		VI	ლევან ფავლენიშვილი
20.	მანქანური სწავლება 2	5	15	34	74	2	მანქანური სწავლება 1		VI	ლაშა ჭოჭუა შოთა ნათენაძე
21.	დანახარჯისა და სარგებლიანობის ანალიზი	5	30	34	59	2	მიკროეკონომიკა 2, ეკონომეტრიკა 1	VII		ნორბერტო პინიატი
22.	ეკონომიკური პროგნოზირება	5	15	34	74	2	ეკონომეტრიკა 2	VII		კარინე ტოროსიანი
23.	კლიმატის ცვლილების ეკონომიკა 2	5	15	34	74	2	კლიმატის ცვლილების ეკონომიკა 1	VII		მაიკლ ლუკენი
24.	გარემოს დაცვის ეკონომიკა	5	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 1, ეკონომეტრიკა 1	VII		ვლადიმირ ოტრაჩენკო
25.	ეკონომიკური კვლევა და კომუნიკაცია	5	15	34	74	2	აკადემიური წერა	VII		ლაშა ლაბაძე
26.	ინოვაციის ეკონომიკა	5	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 1	VII		ტარას ჰრენდაშ
27.	ენერგეტიკის ეკონომიკა	5	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 1 მაკროეკონომიკა 2	VII		ირაკლი ურგებაშვილი
28.	ფილოსოფია	5	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე		VIII	ლაშა ხარაზი
29.	მაკროეკონომიკური პოლიტიკა	5	15	34	74	2	მაკროეკონომიკა 2		VIII	ზვიად ზედგინიძე
30.	გლობალური გამოწვევები	5	15	34	74	2	მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები		VIII	დავით კეშელავა
31.	საერთაშორისო ვაჭრობის მოდელები	5	15	34	74	2	სტატისტიკა 1, ეკონომეტრიკა 1, კალკულუსი 2		VIII	ვილემ სემერაკი
32.	ვარიაციული აღრიცხვა და ოპტიმალური კონტროლის თეორია	5	15	34	74	2	კალკულუსი 1, კალკულუსი 2, მათემატიკა ეკონომისტებისთვის 1, მათემატიკა ეკონომისტებისთვის 2		VIII	ზაზა თევდორაძე

	სულ:	**35**								
თავისუფალი კრედიტები - 20 ECTS – (სტუდენტი ირჩევს 4 სასწავლო კურსს ქვემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსებიდან)										
1.	მათემატიკური ლოგიკა	**5**	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე	I		ლევან ურიდია
2.	შესავალი ეკონომიკაში	**5**	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე	I		გიორგი ბაქრაძე
3.	ფინანსური აღრიცხვა	**5**	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე		II	ნინო ლომიძე
4.	მსოფლიოს რეგიონული გეოგრაფია	**5**	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე		II	დავით სიჭინავა
5.	ბიზნესი და მმართველობა ციფრულ სამყაროში	**5**	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე		II	ნინო ნანიტაშვილი
6.	გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა	5	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე		II	ნინო ზედელაშვილი
7.	პოლიტიკური ფილოსოფია და თანამედროვე პოლიტიკა	5	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე		II	ნიკოლოზ ესიტაშვილი
8.	ეკონომიკური ფსიქოლოგია და სოციოლოგია	5	15	34	74	2	მიკროეკონომიკის პრინციპები	III		ნიკოლოზ ესიტაშვილი
9.	რაოდენობრივი მეთოდების შესავალი	5	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე	III		მიხეილ ნადარეიშვილი
10.	ფული, ბაზრები, ვაჭრობა და განვითარება	5	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე	III		ლევან ნადიბაიძე
11.	პოლიტოლოგია	5	15	34	74	2	წინაპირობის გარეშე		IV	ჯოზეფ ლარსენი
12.	ფინანსური ბაზრები	5	15	34	74	2	მიკროეკონომიკა 1		IV	გაბრიელა კუვიკოვა
13.	შესავალი მონაცემთა მეცნიერებაში	5	15	34	74	2	ეკონომეტრიკა 1		IV	ვაჰან სარგსიან
14.	ინსტიტუციები, არჩევანი და განვითარება	5	30	34	59	2	წინაპირობის გარეშე		IV	ლევან თევდორაძე
	სულ:	**20**								
საკურსო ნაშრომი და სტაჟირება 25 ECTS										
1.	კვლევითი/გამოყენებითი პროექტი	**15**					აკადემიური წერა, მიკროეკონომიკა 2, მაკროეკონომიკა 2		VIII	პროექტის ხელმძღვანელის არჩევა ხდება წინა

										სემესტრში
2.	პროფესიული სტაჟირება	**10**					მიკროეკონომიკა 2, მაკროეკონომიკა 2		VIII	სტაჟირების განთავსების ოფიცერი
	სულ:	**25**								

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი